ეროვნული ბიბლიოთეკა

პრივატიზების მაცნე

№ 11

ივნისი, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი — გამოდის 1993 წლიდან — ფასი 50 თეთრი

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება №292

1996 წლის 30 აპრილი. თბილისი

სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ

საქართველოში სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის მოწესრიგებისა და ერთიანი წესი შემოღების მიზნით:

1.დამტკიცდეს დებულება სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ (თან ერთვის).

2. ბრძანებულება ამოქმედდეს 1996 წლის 1 ივლისიდან.

ე. შევარდნაძე

სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ

1.ზოგადი დებულებანი

1.1. ამ წესით რეგულირდება სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) მართვა, განკარგვა და აღრიცხვა.

1.2.საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვას, განკარგვასა და აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

1.3. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ აქციები (აქციათა პაკეტები) მართვის უფლებით გარკვეული ვადით შეიძლება გადასცეს დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, იურიდიულ პირებს (სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად) ხელშეკრულების საფუძველზე.

2. აქციათა მართვა

2.1. დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირები (შემდგომში – უფლებამოსილი პირები) მათთვის სამართავად გადაცემულ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ აქციათა მართვის უფლებას ახორციელებენ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2.2. უფლებამოსილი პირი ვალდებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეათანხმოს გადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც ეხება:

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ცვლილებისა და ლიკვიდაციის საკითხს.

გადაწყვეტილებებს სხვა საზოგადოებებთან შერწყმის შესახებ.

კაპიტალდაბანდებათა შეძენასა და გასხვისებას.

ძირითადი საშუალებების გასხვისებას და დაგირავებას;

სესხებისა და კრედიტების აღებას, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას.

2.3. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელსაც მართვისათვის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს აქციათა პაკეტი, სააქციო საზოგადოებათა კრებაზე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რწმუნებული პირის მეშვეობით განსახილველ საკითხებზე წინასწარი შეთანხმების შესაბამისად.

2.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს (სახელმწიფო წარმომადგენლები) ირჩევს (ნიშნავს) სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან უფლებამოსილი პირი.

2.5. სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ (დანიშნულ) წევრებთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

ხელშეკრულების მოქმედების დრო და მისი შეწყვეტის წესი;

სახელმწიფო წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები;

შრომის ანაზღაურება;

მატერიალური და პასუხისმგებლობის სხვა პირობები ხელშეკრულების დარღვევისათვის.

2.6. სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფო წარმომადგენლები ვალდებული არიან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის მიერ უფლებამოსილ პირთან წერილობით შეათანხმონ გადაწყვეტილებათა პროექტები, რომელსაც წარადგენენ ან მხარს დაუჭერენ.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულია რამდენიმე სახელმწიფო წარმომადგენელი, წინასწარ თანხმდება მათი ერთობლივი პოზიცია განსახილველ საკითხებზე.

2.8. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფო წარმომადგენლები სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან უფლებამონაცვლე პირს წელიწადში არანაკლებ ორჯერ წარუდგენენ ანგარიშგებას თავიანთი საქმიანობის შესახებ სამინისტროს მიერ დადგენილ წესის შესაბამისად.

3. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების პრივატიზების წესი

3.1. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზებას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აქციათა აღრიცხვის წესი

4.1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები (აქციათა პაკეტები) ექვემდებარება სავალდებულო აღრიცხვას.

4.2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტების) აღრიცხვის წესს აგენს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება №335

1996 წლის 23 მაისი ქ.თბილისი

იმ სააქციო საზოგადოებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა აქციების 51 პროცენტი დროებით რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში

1. დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა ნუსხა, რომელთა აქციების 51 პროცენტი №1 დანართის შესაბამისად დროებით რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში.

2. აღნიშნული ნუსხის დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 26 დეკემბრის №875 და 1995 წლის 17 თებერვლის №81 დადგენილებები.

3. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 იანვრის № 12, 28 იანვრის № 22, 14 მაისის № 166, 10 ოქტომბრის № 413 ბრძანებულებებით შექმნილი პოლდინგური კომპანიები 1996 წლის 1 სექტემბრამდე მოყვანილ იქნეს "მეწარმეთა შესახებ" კანონთან შესაბამისობაში. ამასთან, განხორციელდეს იმ სააქციო საზოგადოებათა აქციების პრივატიზება, რომლებიც ზემოაღნიშნული ბრძანებულებების საფუძველზე შევიდნენ პოლდინგურ კომპანიებში და არ მტკიცდება ამ ბრძანებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოების (სახელმწიფო კომპანიები "საქენერგო", "საქგაზი" და "საქნავთობი", პოლდინგური კომპანია "საქნავთობპროდუქტები") და პოლდინგური კომპანია "ჰიდროენერგომშენის" საკონტროლო პაკეტის სახელმწიფოს განკარგულებაში დატოვების საკითხი გადაწყდება ენერგეტიკის კომპლექსის საწარმოთა აქციონირების, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და პრივატიზაციის კონცეფციის მიღების შემდეგ.

ე.შევარდნაძე

ნუსხა
იმ სააქციო საზოგადოებებისა, რომელთა აქციების 51 პროცენტი დროებით რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში

საწარმოთა დასახელება	საწარმოთა დასახელება
ქ.თბილისი ს/ს "ცენტროლიტი"	ტრესტი "თბილგაზი"
ქ.თბილისის ს/ს "ჩარხმშენებელი"	ს/ს "სამთოქიმია"
ქ.თბილისის ს/ს "ელმავალმშენებელი"	ს/ს "ცანა"
ს/ს ქუთაისის ლითოფონის ქარხანა	ს/ს "ქუთბარიგი"
ს/ს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა "კოლხიდა"	ს/ს "ასკანიგი"
ქ.ქუთაისის ს/ს "ელექტროტექნიკოსი"	ს/ს "საქგუმბრინი"
ქ.ქუთაისის ს/ს "საქართველოს გრაქტორი"	ს/ს "კრისტალტექნიკა"
ს/ს "მადნეული"	ს/ს "თეძამი"
რუსთავის ს/ს "გამი"	ს/ს "საქცეოლიოი"
ფოთის გემომშენებელი-გემთშემკეთებელი ქ-ნა	ს/ს "ურავი"
ფოთის ს/ს "ჰიდრომექანიზმები"	ს/ს "ანდეზიგი"
თბილისის ს/ს "ელექტროძრავა"	რუსთავის ლითონ-კონსტრუქციების ქ-ნა
თბილისის ს/ს "ელვა"	კასპის ცემენტის ქ-ნა
თბილისის ს/ს "ელექტროიზოლიტი"	რუსთავის ცემენტის ქ-ნა
თბილისის ს/ს "საქელექტრომანქანა"	დარკვეთის საშენ მასალათა კომბინატი
რუსთავის ს/ს ქიმიური კომბინატი (ს/ს "აზოტი, ს/ს "ქიმბოჭკო")	ს/ს "ბაზალტი"
რუსთავის მეტალურგიული კომბინატი	ს/ს "შეტეხი"
ს/ს "ჭიათურმანგანუმი"	ს/ს "შეტეხის კერამიკა"
ზესტაფონის ს/ს "ფერო"	ს/ს "პერლიტი"
მუნიციპალური საწარმოო კომპანია "თბილტრანსი"	ს/ს "მშენტრანსი"
	ს/ს "საქლითონი"
	ს/ს "კორომი"
	ს/ს "საქქიმპოლიმერი"
	ს/ს "საქმშენელექტრო"
	ს/ს "ბაკალეია"
	ს/ს "იუპიტერი"
	ს/ს "სიუხვე"
	ს/ს აისბერგი"
	ს/ს "მერკური 92"
	სამტრედიის მაცივარი
	ზესტაფონის მაცივარი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

„სახელმწიფო ქონების აუქციონით პრივატიზების წესში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

სახელმწიფო ქონების აუქციონით პრივატიზების სრულყოფის მიზნით სახელმწიო ქონების მართვის მინისტრის ბრძანებით "სახელმწიფო ქონების აუქციონით პრივატიზების წესში" შეტანილ იქნა ცვლილება. მე-3 თავის. 3.1. პუნქტის მე-2 აბზაცის მეხუთე წინადადებაში სიტყვები "სახელმწიფო ბაჟი" შეიცვალა სიტყვით "მისაგებელი".

საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა აღნიშნული ცვლილების შესახებ გამოაქვეყნოს გაზეთ "პრივატიზების მაცნეში" და შეატყობინოს იუსტიციის სამინისტროს ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ ე.ჯუღელს.

საპრივატიზებო და საზოგადოებებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების განსაზღვრის შესახებ

საპრივატიზებო და სააქციო საზოგადოებებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების რეალურად განსაზღვრის მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ საპრივატიზებო და სააქციო საზოგადოებებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის №20 დადგენილების მე-3 პუნქტის მიხედვით.

პროგრამებისა და მეთოდური უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ობიექტის ღირებულების შეფასების არსებულ აქტებში, საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილებას — უზრუნველყოს აღნიშნული დადგენილების დროული დაგზავნა ტერიტორიულ ორგანოებამდე.

დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალა მინისტრის მოადგილეს ბ-ნ კ.იოსელიანს.

ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს (სამმართველოებს) ამასწინათ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დაეგზავნათ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება №08.36.256 (25 მარტი 1996 წ.) "საპრივატიზებო და სააქციო საზოგადოებებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების განსაზღვრის შესახებ".

პურპროდუქტების სისტემის ობიექტების (პურის მცხობელი სანარმოების, სასაწყობო მეურნეობების, საცავების, ელევატორების და ა.შ.) პრივატიზების პირობების და სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვების შესახებ

"პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 აპრილის №252 ბრძანებულებით განსაზღვრული და ხორბლის (ფქვილის) სახელმწიო რესურსების (რეზერვების) შექმნის ამოცანებიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრების ერთობლივი ბრძანების თანახმად, აღნიშნული ბრძანების პირველ დანართში ჩამოთვლილი ობიექტების არსებული წესით პრივატიზება უნდა განხორციელდეს 1996 წლის 1 ივნისამდე ამავე ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. ის ობიექტები, რომელთა პრივატიზებაც ვერ განხორციელდება აღნიშნულ პერიოდში, გარდაიქმნან სახაზინო საწარმოებად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოცემული ბრძანების მეორე დანართში ჩამოთვლილი ობიექტების სახელმწიფოს კუთვნილი აქციების პაკეტების მართვის უფლების დელეგირებისას, აგრეთვე პრივატიზებულ ობიექტზე (აქციებზე) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემისას აუცილებლად შესასრულებელ პირობად დადგინდა: ა) სახელმწიფო რესურსებისათვის (რეზერვებისათვის) საჭირო ხორბლის (ფქვილის) მარაგების განთავსება, შენახვა, გადამუშავება და დანიშნულებისამებრ წარმართვა; ბ) ამ მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული სიმძლავრეების არანაკლებ 50 პროცენტის დარეზერვება; გ) მომსახურების ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ურთიერშეთანხმებული ტარიფებით, აღნიშნული პირობები დარეგულირდეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და შესაბამის საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც დაიდება (განახლდება) ყოველწლიურად.

აღნიშნული ბრძანება დაეგზავნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო ადმინისტრაციებს, შესაბამისი ქალაქების მერიებსა და რაიონულ გამგეობებს, პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას, პირველ და მეორე დანართში ჩამოთვლილ საწარმოებს.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ.კობერიძეს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ ა. ხეცურიანს.

დანართი 1

საქართველოს პურპროდუქტების სისტემის ობიექტების ნუსხა, რომლთა საწესდებო კაპიტალის 51 პროცენტს იტოვებს სახელმწიფო ან გარდაიქმნებიან სახაზინო საწარმოებად

№	ობიექტის დასახელება	სულ სიმძლავრე ტონებში
1	2	3
1.	ზესტაფონის პურის მიმღები საწარმო	345
2.	თელავის –" –	19970
3.	ხაშურის –"–	16362
4.	ჭიათურის –"–	3000
5.	ბადიაურის –"–	23245
6.	საგარეჯოს –"–	18560
7.	ქარელის –"–	10900
8.	კასპის –"–	19550
9.	ლანჩხუთის –"–	22590
10.	ახალქალაქის –"–	12500
11.	ქსანის –"–	30900
12.	ხობის –"–	35050
	სულ	212 972

დანართი 2

საქართველოს პურპროდუქტების სისტემის ობიექტების ნუსხა, რომლებსაც ევალებათ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაკვეთით ხორბლის (ფქვილის) რესურსების განთავსება და შენახვა

№	ობიექტის დასახელება	სულ სიმძლავრე ტონებში		
			მათ შორის მარცლის შესანახი	
				მათ შორის ელევაზურების
1	2	3	4	5
1.	ახალციხის პმს	10800	8200	3600
2.	ბათუმის პმს	7950	7500	–
3.	ქუთაისის პმს	16200	10400	7400
4.	აფხაზეთის პმს	111851	99241	47600
5.	გორის პპკ	85816	77891	43500
6.	ზუგდიდის პპკ	9900	7400	7400
7.	მარნეულის პპკ	163800	152680	105200
8.	ნავთლუღის პპკ	31425	29300	7900
9.	სამტრედიის პმს	19490	15200	–
10.	წნორის პპკ	60420	56460	22500
11.	სენაკის პპკ	29460	25600	7400
12.	აბაშის პმს	36720	36720	9600
13.	კაჭრეთის პპკ	153900	151900	135100
14.	ცხინვალის პმს	24815	21500	7400
15.	დედოფლისწყაროს ელევატორი	54200	52600	21500
16.	თბილისის პპკ	59500	57200	57200
17.	ფოთის წისქვილი	30700	26700	26700
18.	ოზურგეთის პპკ	21450	17300	9900
19.	თბილისის წისქვილი	19100	16000	16000
20.	ქუთაისის პპკ	68500	63200	58000
21.	ბორჯომის წისქვილი	5570	5000	5000
	სულ	1 021 567	937 992	583 900

პრობლემა — „მჩატე ბიუჯეტი და მძიმე გადასახადები“

პრობლემის შინაარსი

პრობლემა ძველია, როგორც თვით სამყარო. ყოველთვის, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობდა და არსებობს, მეტ-ნაკლები სიმწვავით.

პრობლემა მით უფრო მწვავეა, რაც უფრო სუსტია წარმოება.

ბიუჯეტი თავისას ითხოვს. სუსტ წარმოებას გადასახადები აუტანელი სიმძიმით აწვება და უაზრობამდე მიყავს მეწარმის საქმიანობა, კლავს წარმოებას.

უკეთეს შემთხვევაში, წარმოების შესანარჩუნებლად, მეწარმე მალავს მოგებას. ბიუჯეტი კიდევ უფრო სუსტდება და იწვევს კიდევ უფრო მძიმე გადასახადების აუცილებლობას. იქმნება ჩიხი.

როგორც წესი, იქმნება ხოლმე რეალობა, რომ აუცილებელი ხდება გადასახადების შემცირება და ამავე დროს ბიუჯეტის გაზრდა, რაც ერთმანეთს გამორიცხავს.

რას აკეთებს ხოლმე სახელმწიფო

როგორც წესი, როცა პრობლემა მწვავდება, აქცენტი კეთდება ერთ რომელიმე ან რამოდენიმე სახის გადასახადზე. როგორც ვიცით გადასახადები მრავალნაირია. სახელმწიფო იღებს ამ ცალკეული, გამწვავებული გადასახადის გაუქმებაზე და რადგანაც ბიუჯეტს უჭირს (სიმპტომად საკმარისია თუნდაც მასწავლებელთა პრობლემები), პარალელურად იძულებულია შემოიღოს სანაცვლოდ სხვა სახის გადასახადი.

ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად აცხრობს პრობლემის სიმწვავეს, მაგრამ შინაარსით არაფერს იძლევა. წლების განმავლობაში სწორედ ასეთმა "გადაწყვეტებმა" გაართულა საგადასახადო სისტემა, რაც თავის მხრივ დიდი ნაკლია.

სახელმწიფო ცდილობს აგრეთვე დააწესოს საიმედო კონტროლი და ძალის გამოყენებით მოახდინოს ზემოქმედება გადამხდელებზე. როგორც წესი, ძალისმიერი მეთოდები სასურველ საბოლოო შედეგს არ იძლევა.

სუსტი ბიუჯეტისა და სახელმწიფო მოხელეთა დაბალი ხელფასების ფონზე ქვეყანა იფლობა კორუფციაში. მეწარმეს ექმნება დამატებითი სირთულეები.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ

პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტაა, სახელმწიფომ როგორმე დააინტერესოს მეწარმე კეთილსინდისიერად აწარმოოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. საწყის ეტაპზე თუნდაც მძიმე პროცენტული გადასახადის გადახდაც კი სასურველი უნდა გახადოს გადამხდელისათვის.

თუ გადამხდელთა დაინტერესება მოხერხდა და მოვლენათა მსვლელობა როგორმე შეტრიალდა, სახელმწიფო იწყებს ჩიხიდან გამოსვლას.

მხოლოდ მეწარმეთა მხრიდან დამალულ მოგებათა გამოჩენა და ბიუჯეტში მეტი თანხების შეტანა იძლევა შესაძლებლობას რეალურად შემცირდეს გადასახადების სიდიდე. გადასახადების შემცირება ამცირებს დამალვის სურვილს. საგადასამხდელო სივრცის მეტი ლეგალიზებით კიდევ უფრო მეტად შემცირდება გადასახადების პროცენტული სიდიდე და ა.შ. დამალვა დაკარგავს აზრს. მეტიც, მცირე გადასახადები მიიზიდავს გარეშე ინვესტორებსაც.

თავის მხრივ, შედარებით მძლავრი ბიუჯეტი ნიშნავს მოსახლეობის გადახდის უნარის ამაღლებას, მოქმედი ეროვნული ვალუტის გამყარებას, საწარმოთა მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან მისაღები საფასურის შეუფერხებლად მიღებას, სასურველ სახელმწიფო შეკვეთებს ანუ მეწარმეთათვის ამჟამად საოცნებო გარემოს შექმნას.

შესაბამისად სახელმწიფოს ძირითადი მიზანია იმ დონეზე შესძლოს გადასახადების სისტემის გაჯანსაღება, რომ მცირე პროცენტული განაკვეთებით შესძლოს მძლავრი ბიუჯეტის ფორმირება.

ასეთი შედეგის მიღწევის შემდეგ სასურველი პროპორციების შენარჩუნება ბევრად იოლი საქმეა. ხატოვნად შეიძლება შედარდეს გადადებული ავადმყოფის სრულ მორჩენას და შემდეგ ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

როგორ გაკეთდეს

რა საშუალება გააჩნია სახელმწიფოს, რომ სასურველი გახადოს გადამხდელისათვის გადასახადების გადახდა, მით უმეტეს ჩვენი მწირი სახელმწიფო შესაძლებლობების ფონზე.

სიტყვაზე, თითოეულ გადამხდელს ორდენი რომ მივცეთ ორდენი გაუფასურდება. სხვა რა შეგვიძლია.

თუ კარგად ჩავუკვირდებით რესპუბლიკაში არსებულ მაკროეკონომიკურ სიტუაციას, დავინახავთ, რომ გარდა ზემოთაღნიშნული ორი დიდი მინუსისა ანუ მძიმე გადასახადებისა და მჩატე ბიუჯეტისა, გვაქვს კიდევ ერთი, არანაკლები მინუსი.

ეს მინუსია ის, რომ თავკომბალასავით, ნორმალური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს ხელშია უზომოდ დიდი ქონება. იმდენად დიდი, რომ სახელმწიფო ვერ უვლის ამ ქონებას და უპრიანი იქნებოდა ეს ქონება თუნდაც უფასოდ გადაცემულიყო კერძო პატრონის ხელში. უფრო ეფექტურადაც იქნებოდა გამოყენებული.

სწორედ ამ მინუსის გამოყენებით, დანარჩენ ორ მინუსთან ერთად შეგვიძლია სამივე ნაკლის მოცილება.

მოქმედი ვაუჩერი ძალაშია 1 ივლისამდე. განვლილ პერიოდი პრივატიზებულია პრივატიზებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ქონების მხოლოდ ნაწილი. კიდევ სულ ცოტა 1,5 მილიარდი დოლარის ქონება უნდა იქნეს პრივატიზებული ახლო მომავალში.

საუკეთესო და ალბათ ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა ვაუჩერების მოქმედების დამთავრების შემდეგ შემოგვეღო ე.წ. საპრივატიზაციო ქვითარი. სახელმწიფო, არსებული გადასახადების შესაბამისად ბიუჯეტში თანხის ყოველ შემომტანზე გასცემს შესაბამისი თანხის საპრივატიზაციო ქვითარს, რომლითაც შესაძლებელი იქნება სამჯერ მეტი ფასის საპრივატიზებო ქონების საფასურის დაფარვა.

ასეთი გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვლის სიტუაციას.

ყოველი გადამხდელი შეეცდება მეტი თანხის შეტანას ბიუჯეტში. მით უმეტეს, აღნიშნული ქვითარი იქნება თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საგანი. გადამხდელი რომც არ აპირებდეს პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობას, 100 ლარიან ქვითარს 300-ად თუ არა 120 ლარად მაინც გაყიდის და ყველა შემთხვევაში მოგებული დარჩება.

პირიქით, საგადასახდო სამსახურის მხრიდან ყურადღების მიქცევა დასჭირდება იმ მომენტსაც კი, რომ დადგენილ განაკვეთით განსაზღვრულ თანხაზე მეტი არ იქნეს შეტანილი ბიუჯეტში ცალკეულ გადამხდელთა მხრიდან.

ვანო ჩხაიძე,

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს უფროსი.

№25 საბარათო აუქციონი

აუქციონი ტარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე დაფარვის პირობით, დადგენილი წესით 1996 წლის 14 ივნისს

№	ი ყ ო აუქც-№№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამომვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	საწყისი ფასი საპრ. ბარათებში	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავ. მიწის ფართობი-ha
1	11-12.04.	19."ივერია"(ქუთ.ავეჯის საწ.გ-ბა)	233225	22870	9.806	6210	ქუთაისი, მშენებლის 2, ტ. 62093	მ.მამისეიშვილი	7.4
2	11-12.04.-1	30. "პოლიმერული ნაკეთობა"	455159	43338	9.522	11767	სამრეწველო ზონა, ორხევი, ტ. 732139	გ.ჩიხლაძე	4.3
3	38-XI	45. "უნივერსალი" (ქუთ. საცდ.-მექან. ქ-ნა)	151499	657	0.434	179	ქუთაისი. სულხან-საბას 7,	გ. მაჩიგაძე	2.48
4	1-29.12.-X	60. "თამბაქოს საფერმენტ.ქ-ნა "პერეთი"	153454	1328	0.865	361	ლაგოდეხი, 26 მაისის 33,	ჯ. მოდებაძე	7.8
5	12-19.04.-	61."აფენის ღვინის ქარხანა"	270000	2779	1.029	755	ლაგოდეხი, სოფ. აფენი		7
6	12-19.04.-	*64."შერკური-92"(მაცივრები)*	394400	10872	2.757	2952	თბილისი, თეედორე მღვდლის 27. ტ.3409	თ.ზამთარაძე	2.5
7	12-19.04.-	82."ეტლი"(ვანის ავტოსატრანსპ.საწარმო)	29666	3474	11.71	943	ვანი, თავისუფლების 56	გეგი გეგიძე	1.6
8	XXXIII-XX	*91."ბაკალეია"(საქსურსათბითუმვაჭრ.თბ.ბაზა)*	109281	3149	2.882	855	თბილისი,სამგორის ჩიხი4,ტ.713567	ლ.ღვალიძე	1.5
9	14-26.04.-	*108." მარნეულის ნავთობპროდუქტი"(კომ.შ.ს.)	168170	13332	7.928	3620	მარნეული, იაღლუჯის 5, ტ.22056	ზ.ამაშუკელი	8
10	14-26.04.-X	115."ლითოგრაფი"(თეთრიწყაროს მაღ.ს.)	25360	153	0.603	42	თეთრიწყაროს რ-ნი,დას.მადანი.ტ.	ნ.წიკლაური	3
11	14-26.04.-X	123."სოკო"(სოკოს წარმ.და გადამუშ.კ-ტი)	346650	4186	1.208	1137	გარდაბანი 4,რუსთ.-თბილ.გზატ.17-ე კმ.	ი.ფანცხავა	7
12	10-29.03.	130."ცენტრალური სუპერმარკეტი"(ღუმერტ.)	205343	1256	0.612	341	თბილისი,წინამძღვრიშვილის 135,ტ.34469	ლ.შუბადალაშვილი	7
13	10-29.04.	136."ქუთაისის მექანიკური ქ-ნა"	65862	1495	2.27	406	ქუთაისი, ნიკეას 7	თ.გვანცელაძე	2
14	XXXVII	160."ლოთონმშრელი იარაღები"(საინსტრუმ.ქ.)	435758	4717	1.082	1281	თბილისი,საბურთალოს 32	თ.ხარებავა	2.1
15	14-29.03.-X	184."ეუსპრესი"(მარნეულის სამგ.ასს)	93486	435	0.465	118	მარნეული, კოსტავას 58	ვ.გასანოვი	
16	15-3.05-8-	186."ქარავანი"(3 საგ.ავტოსაგრ.საწ-მო)	142329	295	0.207	80	თბილისი,მუხათგვერდი	შ.ფხოველიშვილი	5
17	15-3.05.-X	187."ავტოშემკეთებელი"(თბ. 1 ავტოშ.ქ-ნა)	438048	58500	13.35	12218	მექანიზაციის 1,ტ.662927,663318	ი.ლაპიაშვილი	
18	15-3.05.-X	187."ავტოშემკეთებელი"(თბ. 1 ავტოშ.ქ-ნა)	438048	81000	18.49	16917	მექანიზაციის 1,ტ.662927,663318	ი.ლაპიაშვილი	
19	15-3.05.-X	187."ავტოშემკეთებელი"(თბ. 1 ავტოშ.ქ-ნა)	438048	130000	29.68	27151	მექანიზაციის 1, ტ.662927, 663318	ი.ლაპიაშვილი	
20	XX	*195."ახალციხის ნავთობპროდუქტი"	60427	143	0.237	39	ახალციხე,ტაბიძის 25,ტ.21248	ო.ჯაყელი	
21	3-12.01-15	199."ოშურგეთის ჩაის საწონი ფაბრიკა"	109500	1102	1.006	299	ოზურგეთი,კოსტავას 79,ტ.66200	ა.ლომაძე	4.3
22	3-12.01-15	204."შარკეტკრწანისი"(კრწანისი.რკ.საკ.ბაზ.–	504293	3964	0.786	1076	თბილისი,რუსის ქ 3,ტ.999742	ჯ.დეედარიანი	0.25
23	3-12.01-15	208."წყალტუბოს ხორცკომბინატი"	91248	9200	10.08	2498	წყალტუბო,მარჯანიშვილის 3,ტ.22596	ნ.ხირბილაძე	2.2
24	3-12.01-15	208."წყალტუბოს ხორცკომბინატი"	91248	11227	12.3	3048	წყალტუბო,მარჯანიშვილის3,ტ.22596	ნ.ხირბილაძე	2.2
25	3-12.01-15	208."წყალტუბოს ხორცკომბინატი"	91248	15000	16.44	4073	წყალტუბო,მარჯანიშვილის3,ტ.22596	ნ.ხირბილაძე	2.2
		სულ:	5595579	428691		99512			

№26 საბარათო აუქციონი

აუქციონი ტარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე დაფარვის პირობით, დადგენილი წესით 1996 წლის 18 ივნისს

№	იყო აუქც. №№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	საწყისი ფასი საპრ. ბარათებში	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავ. მიწის ფართობი-ჰა
1	№38-XX	209."ელექტროტექნიკური ქარხანა"(თბ.ელ.ტ.ქ)	304607	3175	1.042	862	თბილისი, ცემის 3	ნ.ლოსაბერიძე	2.5
2	16-6.05-XX	229. "სურამის ღვინის ქარხანა" (ხაშ.რ.)	66979	703	1.05	191	ხაშური, დსურამი, ალმაშენებლის ქ. ტ:2301	მ.რუხია	1.5
3	8-15.03.-X	247."გამა" (თელავის წინდების საქს. ფ-კა)	64331	11	0.017	3	თელავი,ალაზნის გამზ.2, ტ:31286	მ.მოდებაძე	1.69
4	XXXVI-XI	*248 "თელავის ნავთობპროდუქტი" (თელ.კ.მ.ს.)	74285	8142	10.96	2211	თელავი, აჩინებული, ტ.34394	თ.არჯევანიძე	8.8
5	XXXVI-XI	255 "კრისტალი–94" (თბილ.მექანიკური ქ-ნა)	73580	890	1.21	242	თბილისი, სამგორის 3	მ.შონია	1.3
6	XX	*256 "საქლითონი" (რგ."საქლითონი")	401543	16333	4.068	4435	თბილისი, ქიზიყის 12	რ.ჯანგირაშვილი	21
7	"38-XX	267 "ქუთავტოსერვისი" (ქუთ. № 1 სატვ.ასს)	50154	18	0.036	5	ქუთაისი,ავტომშენებლის ქ.	ტ.ჭელიძე	3
8	7-9.02.-X	272 "ავტომობილი" (ზესტაფ.სატვ.ა/სატრ.საწ.)	54147	5874	10.85	1595	ზესტაფონი,სტაროსელსკის ქ.ტ:53269		2
9	7-9.02.-X	272 "ავტომობილი" (ზესტაფ.სატვ.ა/სატრ.საწ)	54147	9000	16.62	2444	ზესტაფონი,სტაროსელსკის ქ.ტ:53269		2
10	7-9.02.-X	272 "ავტომობილი" (ზესტაფ.სატვ.ა/სატრ.საწ)	54147	13000	24.01	3530	ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ., ტ:53269		2
11	4-19.01.-X	330 "გურგენი" (სენაკის № 1 ჩაის ფ-კა)	168300	1183	0.703	321	სენაკი,გუდაუთის 2	ზცაავა	2.26
12	XXXI-VII	*349 "სამტრედიის ნავთობპროდუქტი" (კმს)	134967	4180	3.097	1135	სამტრედია,კიკვიძის 19, ტ:23303	თ.ტორონჯაძე	6
13	XXXI-XII	*360 "დარკვეთის სამშენ მასალათა კომბინატი"	157555	17408	11.05	4727	ჭიათურა,საჩხერის გზატკ. 44	ო.კუპატაძე	5
14	12-19.04	*364 "ნავთობპროდუქტი" (ტყიბულის კმს)	123100	1030	0.837	280	ტყიბული,ბარათაშვილის 2-ა, ტ:22488	უ.დალაქიშვილი	
15	XX	385 "საგზაო ავტოტრანსპორტი" (სამტრ.)	19522	69	0.353	19	სამტრედია, წერეთლის 117	ა.ნინუა	2
16	XIV	404 "ავტომობილი" (საგარეჯ.ა/სატრანსპ.საწ)	37766	3892	10.31	1057	საგარეჯო,კოსტავას 7, ტ:43022	გ.ნიკოლაიშვილი	3.2
17	XIV	404 "ავტომობილი" (საგარეჯ.ა/სატრანსპ.საწ)	37766	4300	11.39	1168	საგარეჯო, კოსტავას 7.ტ:43022	გ.ნიკოლაიშვილი	3.2
18	XIV	404 "ავტომობილი"(საგარეჯ.ა/სატრანსპ.საწ.)	37766	4700	12.45	1276	საგარეჯო, კოსტავას 7, ტ:43022	გ.ნიკოლაიშვილი	3.2
19	№38-XIV	409 "ივერია" (ხონი, სოფ.გუბის ჩაის ფ-კა)	64236	20	0.031	6	ხონის რ-ნი, სოფ.გუბი		2.6
20	XXXII-VI	423 "ზანავი" (ბორჯომის საკონსერვო ქ-ნა)	77838	1070	1.375	291	ბორჯომი,სოფ.ზანავი	მ.ტალახაძე	
21	XXXII-XI	426 "მერქანი" (ხაშურის ტარის შემკვეთ.სათ.საწ)	22193	4393	19.79	1193	ხაშური, სოფ.გომი	პ.ბაბაიძე	1.5
22	XXXII-XI	426 "მერქანი" (ხაშურის ტარის შემკვეთ.სათ.საწ)	22193	6500	29.29	1765	ხაშური,სოფ.გომი	პ.ბაბაიძე	1.5
23	XXXII-XI	426 "მერქანი" (ხაშურის ტარის შემკვეთ.სათ.საწ)	22193	8500	38.3	2308	ხაშური, სოფ.გომი.	პ.ბაბაიძე	1.5
24	13-26.04	*431 "ფოთინავთობპროდუქტი" (ფოთის კ.მ.ს.)	147293	16993	11.54	4614	ფოთი,კოკაიას ხეივანი 8, ტ:54802	ნ.ხუნწარია	3.86
25	XXXII-XI	*434 "ლილო" (ლილოს სამშენ მასალათა კ-ტი)	395056	39686	10.05	10775	ლილოს დას.ჭირნახულის შეს.76 :	თ.ჩიკვაიძე	5
26	№39-XVI	*492 "თბილსრესმშენი" ("თბილსრ".სამშ.სამმ)	209517	12436	5.936	3377	გარდაბანი,თბილსრესი.		18
		სულ:	2875181	183506		49830			

№27 საბარათო აუქციონი

აუქციონი ტარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე დაფარვის პირობით, დადგენილი წესით 1996 წლის 21 ივნისს

№	იყო აუქც. №№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	საწყისი ფასი საპრ. ბარათებში	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავ. მიწის ფართობი-ჰა
1	XVII	524 "კახათის ჩაის ფაბრიკა"(ზუგდიდი)	80455	8800	10.94	2389	ზუგდიდი, სოფ.	ე.დარასელია	
2	XVII	524 "კახათის ჩაის ფაბრიკა"(ზუგდიდი)	80455	12500	15.54	3394	ზუგდიდი, სოფ.კახათი	ე. დარასელია	
3	№39-XXI	556"ბორჯომის ავტოტრანსი"	39984	319	0.798	87	ბორჯომი, მესხეთის 141,ტ.22875	გ. ღიასამიძე	2.66
4	XXXIII-X	*560"ქუთაისის მაცივარკომბინატი "სიუხვე"	596327	60148	10.09	16331	ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 176	ა. ბურჯანაძე	1.5
5	XXXIII-X	*560"ქუთაისის მაცივარკომბინატი "სიუხვე"	596327	106000	17.78	28780	ქუთაისი, რუსთაველის გამზ.176	ა. ბურჯანაძე	1.5
6	XXXIII-XI	567"საამო"(წყალტუბოს № 2 ჩაის ფ-კა)	445922	436246	97.83	118446	წყალტუბოს,სოფ.გუმბრა,ტ.23855	დ. ჟღენტი	0.7
7	№39-XIX	596"მეგზური"(თელავ.ტურისტ.სასტუმრო)	131302	797	0.607	217	თელავი. ქართული უნივერსიტეტის 7	ნ. მთავარელიშვილი"	4.62
8	№39-XIX	597"ავტომოტოსერვისი"(თელ.ავტომოტოსერ.)	103882	3835	3.692	1041	თელავი,თბილისის გზატკ.3.	კ.სახიაშვილი	4.3
9	XXXIV-VI	*611"პერლიტი"(რუსთავის სამშენ მას-თა კ-ტი)	353840	33924	9.587	9211	რუსთავი,მარიის არხი 174	ს.გაფრინდაშვილი	9.3
10	XXXIV-V	636"მცხეთა"(მცხეთის ღვინის ქ-ნა)	376909	774	0.205	210	მცხეთა,სამხედროს 73	ზ. კახიძე	5
11	XVIII	637"ბამბის ნართი"(ბამბის სართავი ფ-კა)	487379	37684	7.732	10232	თბილისი,ტრიკოტაჟის 3	ჯ. მამუჩაშვილი	11
12	XXXIII-VI	680"ძეგვის სამრეწვ.კომბინატი"(ძეგვ.სამ.მას.კ-ტი)	49035	3716	7.578	1009	მცხეთა,სოფ.ძეგვი	გატაშვილი	0.35
13	№40-XVI	*681"ბეტონკონსტრუქცია"("საქჰიდროენ.მშ.რკ.ბ.ნაკ.ქ-ნა)	109936	21290	19.37	5781	თბილისი,ქინძმარაულის 37	თ.თავდგირიძე	
14	XXXV-XV	692"სატავტოტრანსი-2"(თბილის № 2 სატვ.ასს)	70734	1773	2.507	482	გარდაბნის რ-ნი,რუსთავის გზატკ.მე-15 კმ	გდონდუაშვილი	
15	XXXVII-X	700"თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა"	159698	2337	1.463	635	თბილისი,ც.დადიანის 7		3.8
16	XXXVII-I	701"სანაპირო-10"(ავტოტექმომსახ.სადგ№ 10)	139573	13809	9.894	3749	თბილისი,ქსნის ქ.	თ.სოსელია	
17	XXXVII-I	701"სანაპირო-10"(ავტოტექმომსახ.სადგ№ 10)	139573	18000	12.9	4887	თბილისი,ქსნის ქ.	თ.სოსელია	
18	XXXVII-I	701"სანაპირო-10"(ავტოტექმომსახ.სადგ№ 10)	139573	25000	17.91	6788	თბილისი,ქ.	თ.სოსელია	
19	XXXV-XII	732"მატეი"(მანქანათმშენ.ტექნოლოგიის ინსტ.)	92932	15920	17.13	4323	თბილისი,ხრამჰესის 1,ტ.956858,950058	გ.ცირეკიძე	1.7
20	XXXV-XII	732"მატეი"(მანქანათმშენ.ტექნოლოგიის ინსტ.)	92932	23000	24.75	6245	თბილისი,ხრამჰესის 1,ტ.956858,950058	გ.ცირეკიძე	1.7
21	V	741"მუხრანის ღვინო"(მცხეთ.რ.მუხრ.ღვინ.ქ-ნა)	61188	1874	3.063	509	მცხეთა,სოფ.მუხრანი	ა.ორჯონიკიძე	2.5
22	XXXV-VII	745"ქიზიყი"(სიღნაღი,მელვინ.სამრეწვ.კომერც.ფ-მა)	574393	15654	2.725	4251	სიღნაღის რ.ქ.წნორი,ზურაბაშვილის 3	ე.მამაიაშვილი	3
23	XXXIII	753სასტუმრო "უშბა"(ტურიზმ.დეპარტ.)	78361	4533	5.785	1231	თბილისი,დავით აღმაშენ.ხეივან.4	ს.გოგოლი	1.51
24	XXIII	*811."ახალქალაქის ნავთობპროდუქტი"	9342	867	9.281	236	ახალქალაქი,ნინოწმინდის გზატკ.მე-11-ე კ	ს.დარბინიანი	3.5
25	№40-XXIV	818"ეაჩნაძიანი"(გურჯ."სამტრ." სკფ)	390946	10026	2.565	2722	გურჯაანი,ს.ვაჩნაძიანი	ს.ცაცაბაშვილი	
		სულ:	5400998	858826		233186			

№ 753-ს/ს "სასტუმრო "უშბა"-ს აქციათა მყიდველთათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებლად შესასრულებელი პირობაა ლტოლვილებისა და დაზარალებულთათვის საცხოვრებელი ადგილების შენარჩუნება დადგენილი წესის შესაბამისად.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებებისა და სამმართველოების ტიპიური დებულების და ტიპიური სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებებისა და სამმართველოების ტიპიური დებულების და ტიპიური სტრუქტურის სრულყოფის მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ბ-ნმა ავთანდილ სილაგაძემ გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებებისა და სამმართველოების ტიპიური დებულება და ტიპიური სტრუქტურა (დანართი 1, 2).

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში ფუნქციონირებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროები, ქ. თბილისში ფუნქციონირებს სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველო, ხოლო ქქ. ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის, ლანჩხუთის, ტყიბულის, ფოთის, ოზურგეთის ტერიტორიული ორგანოები ფუნქციონირებენ როგორც სამმართველოები.

3. გარდაიქმნას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გორის, სამტრედიის, ახალციხის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, ზესტაფონის, მცხეთის, სენაკის, წყალტუბოს, ჭიათურის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რაიონული (საქალაქო) განყოფილებები სამმართველოებად.

4. დავავალოს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ დამტკიცებული ტიპიური დებულებისა და სტრუქტურის შესაბამისად შეიმუშაონ მათდამი დაქვემდებარებული განყოფილებებისა და სამმართველოების დებულება და სტრუქტურა და წარმოადგინონ დასამტკიცებლად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ადგილობრივი მმართველობის ორგანოსთან შეთანხმების შემდეგ.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სამინისტროს მიერ დამტკიცებულია ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს და ქ. ქუთაისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს დებულება და სტრუქტურა.

6. დავავალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (მ. გაბუნია) უზრუნველყოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებებისა და სამმართველოების ტიპიური დებულების და ტიპიური სტრუქტურის გამოქვეყნება გაბეჭდ "პრივატიზების მაცნე"-ში.

7. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (მ. გაბუნია) და მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

დანართი 1

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებებისა და სამმართველოების შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

1.1. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული განყოფილებები და სამმართველოები (შემდგომში ტერიტორიული ორგანო) იმყოფება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს დაქვემდებარებაში.

1.2. ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულებით და აგრეთვე ამ დებულებით.

1.3. ტერიტორიულ ორგანოს ეძლევა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მუნიციპალური და დელეგირებული სახელმწიფო ქონების მართვის და განკარგვის უფლება, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

1.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო მუნიციპალური (სახაზინო) საკუთრების საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის, აღგილობრივი მმართველობის შესაბამისი რგოლებისათვის. აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ინტერესებს სახელმწიფო-მუნიციპალური (სახაზინო) ქონების მონაწილეობით შექმნილ ამხანაგობებსა და საზოგადოებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

1.5. ტერიტორიული ორგანო არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სათანადო ანგარიშსწორების და საკალკულაციო ანგარიშები ბანკებში. სხვა ოფიციალური რეკვიზიტები და ძრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებით, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს გერბი.

1.6. ტერიტორიული ორგანო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია და პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და აღგილობრივი მმართველობის ორგანოს წინაშე.

1.7. ტერიტორიული ორგანოს სამტაგო განრიგის განსაზღვრა ხდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ სამინისტროსთან შეთანხმებით. დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და პრივატიზაციის შედეგად შემოსული სახსრების ხარჯზე.

2. ტერიტორიული ორგანოს უფლებები

ტერიტორიული ორგანო თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

2.1. უზრუნველყოფს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქონების გამიჯვნის შესახებ გადაწყვეტილების რეალიზაციას და კონტროლს.

2.2. შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშავებს სახელმწიფო-მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზების რაიონულ (საქალაქო) პროგრამას და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთახმების შემდეგ წარადგენს დასამტკიცებლად ადგილობრივ მმართველობით ორგანოში.

2.3. ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს კანონით გათვალისწინებული ფორმების მიხედვით სახელმწიფო-მუნიციპალური ქონების პრივატიზაციას, ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებით მყიდველის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს, კოორდინაციას და კონტროლს უწევს საწარმოებში შექმნილი პრივატიზების სამუშაო კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალების შემოწმებას.

2.4. გასცემს სახელმწიფო-მუნიციპალური პრივატიზებული ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობებს.

2.5. უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სახაზინოობასა და რეკლამირებას.

2.6. აღრიცხავს სახელმწიფო-მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას და იღებს გადაწყვეტილებებს მისი მართვისა და განკარგვის შესახებ.

2.7. ახორციელებს პრივატიზაციის გარეშე დარჩენილი სახელმწიფო-მუნიციპალური საწარმოების ქონების მართვას და იღებს გადაწყვეტილებას ამ ქონების მართვის უფლების დელეგირების, ბალანსიდან ბალანსზე გადაცემისა და ვადამდე ადრე ჩამოწერის შესახებ.

2.8. იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო-მუნიციპალურ მფლობელობაში დარჩენილი ქონების განკარგვის შესახებ.

2.9. ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და გადამზადებას.

3. ტერიტორიული ორგანოს უფლებები და მოვალეობები

დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ტერიტორიულ ორგანოს აქვს მემდეგი უფლებები:

3.1. დადგენილი წესის მიხედვით განახორციელოს სახელმწიფო-მუნიციპალური და დელეგირებული სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა.

3.2. იყოს სახელმწიფოს უფლებამონაცვლე სახელმწიფო-მუნიციპალურ ქონებაზე ადრე დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა შესრულებაში, ორგანიზაცია გაუწიოს სახელმწიფო-მუნიციპალური ქონების იჯარით გაცემის შესახებ ხელშეკრულებათა პირობების შესრულების კონტროლს, მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალური და დელეგირებული სახელმწიფო ქონების იჯარით (მათ შორის, გამოსყიდვის უფლებით) გაცემის შესახებ.

3.3. პრივატიზაციის პროცესში მიიღოს გადაწყვეტილებები სახელმწიფო მუნიციპალური საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ შეათანხმოს ან მიიღოს გადაწყვეტილება სახაზინო საწარმოს შექმნის შესახებ, რომლის დაფუძნება ხდება სახელმწიფო მუნიციპალური ქონების ბაზაზე.

3.4. აღგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება დელეგირებული სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების ოპერატიული მართვის ან სამეურნეო გამგებლობაში გადაცემის შესახებ და დაადგინოს ამ ქონების ფლობისა და სარგებლობის წესი.

3.5. მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო-მუნიციპალური ქონებით ან ქონების წილით შექმნილი საწარმოების გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

3.6. მიიღოს გადაწყვეტილებები სახელმწიფო კუთვნილი მუნიციპალური ქონებრივი შენატანების განსაზღვრაზე "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად შესაქმნელ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა საწესდებო კაპიტალში.

3.7. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოითხოვოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სათანადო ინფორმაცია კანონის გათვალისწინებით.

3.8. თავისი ფუნქციების შესრულების პროცესში მოიწვიოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან სპეციალისტები, დამოუკიდებელი ექსპერტები, იურიდიული და ფიზიკური პირები. მათ შორის სახელშეკრულებო საწყისებზე.

3.9. მიმართოს სათანადო ორგანოებს საპრივატიზაციო სახელმწიფო მუნიციპალური საწარმოთა ანგარიშგებისა და საბუღალტრო ბალანსების შეღგენის სისწორის გადამოწმების მიზნით.

3.10. გამოიღეს სასამართლოში მხარედ და სარჩელის აღძვრისას გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან.

3.11. სახელმწიფო მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შედეგად ამონაგები სახსრების 5% დაიტოვოს სპეციალურ ანგარიშზე, რომლის განაწილება მოახდინოს დადგენილი წესით.

4. ტერიტორიული ორგანო ვალდებულია

4.1. იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მიანი მიადგა სახელმწიფო ქონებრივ ინტერესებს სახელმწიფო მუნიციპალური ქონების მონაწილეობით დადებულ გარიგებებში. აღძრას სარჩელი სასამართლოში და ამ გარიგებათა გადასინჯვის ან გაუქმების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობა

5.1. ტერიტორიულ ორგანოს – განყოფილებას (სამმართველოს), ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, აღგილობრივი მმართველობითი ორგანოს წარდგენებით.

5.2. განყოფილების (სამმართველოს) უფროსი:

5.2.1. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს განყოფილების (სამმართველოს) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინდობილობის გარეშე მოქმედებს განყოფილების (სამმართველოს) სახელით, წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

5.2.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

5.2.3. შეაქვს ცვლილებები განყოფილების (სამმართველოს) სტრუქტურაში, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და მუშაკთა რიცხოვნობის შესაბამისად ამტკიცებს სამტაგო ნუსხას. ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს.

5.2.4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წაახალისებს ან აღმინისტრაციულ ღონისძიებებს შეუფარდებს განყოფილების (სამმართველოს) მუშაკებს.

5.3. განყოფილების (სამმართველოს) უფროსს ჰყავს მოადგილე. განყოფილების (სამმართველოს) უფროსის მოადგილე ინიშნება უფროსის ბრძანებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და აღგილობრივი მმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

6. ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

6.1. ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ აღგილობრივი მმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

6.2. ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემდეგ ქონება ნაწილდება დადგენილი წესის მიხედვით.

დანართი 2

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ტიპიური სტრუქტურა

სამმართველო:

- სამმართველოს უფროსი
- სამმართველოს უფროსის მოადგილე
- პრივატიზების ორგანიზაციის განყოფილება
- ფასიანი ქაღალდების და აქციონირების განყოფილება
- უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება

შენიშვნა: დაფინანსება წარმოებს აღგილობრივი ბიუჯეტიდან. თანამშრომელთა რაოდენობა მინიმუმ 5-7 კაცამდე.

განყოფილება:

- განყოფილების უფროსი
- განყოფილების უფროსის მოადგილე-მთავარი სპეციალისტი
- წამყვანი სპეციალისტი
- სპეციალისტი

შენიშვნა: დაფინანსება წარმოებს აღგილობრივი ბიუჯეტიდან თანამშრომელთა რაოდენობა მინიმუმ 2-4 კაცამდე.

მხოლოდ ციფრები

№40 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
618	"ელექტროაპარატი"	311255	135	2	137	8127	1080	9207	303831	33	7424	99.61	48.18
681	"ბეტონკონსტრუქცია"	21290	16	0	16	499	0	499	20958	42	332	98.44	61.32
790	"ლუდისა და წყლ. ქ-ნა"	44798	21	0	21	1381	0	1381	44192	32	606	98.65	46.72
804	"ბორჯომმშენი"	18541	4	0	4	624	0	624	18096	29	445	97.60	42.34
814	"ანძა-94"	633073	35	0	35	14106	0	14106	620664	44	12409	98.04	64.24
821	"მშენინდუსტრია"	90237	3	0	3	523	0	523	23535	45	66702	26.08	65.70
	სულ:	1119194	214	2	216	25260	1080	26340	1031276		87918		

"სახელმწიფო ქონების კონკურსით პრივატიზების წესი" დამტკიცდა

სახელმწიფო ქონების კონკურსით პრივატიზების მოწესრიგების მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 6 მაისის ბრძანებით დამტკიცდა "სახელმწიფო ქონების კონკურსით პრივატიზების წესი". იურიდიულ განყოფილებას დაევალა იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატაროს აღნიშნული წესი.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ.დიდბარიძეს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

სახელმწიფო ქონების აუქციონის და კონკურსის ფორმით პრივატიზებისას მონაწილეთათვის მისაგებელი თანხისა და აუქციონზე შესასვლელი ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ

"საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულების დამტკიცებისა და პრივატიზების პროცესში შესაძლო შეცდომების გამორიცხვის საკოორდინაციო-საკონტროლო კომისიის -შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 მარტის №235 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 1.6. 2.3. და 4.1.4. პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ბატონმა ავთანდილ სილაგაძემ გამოსცა ბრძანება სადაც ნათქვამია:

1.სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას კონკურსის (აუქციონის) მონაწილეთათვის მისაგებელი თანხა განისაზღვროს:

1.1. იურიდიულ პირთათვის – 50 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში.

1.2. ფიზიკურ პირთათვის – 10 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში.

2. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონზე შესასვლელი ბილეთის ფასი განისაზღვროს 1 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში.

3. დაევალოს სამინისტროს იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს (ბ-ნი გ.ნიშნიანიძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ.დიდბარიძეს.

სახელმწიფო ქონების კონკურსით პრივატიზების წესი

1. ზოგადი ნაწილი

1.1 წინამდებარე წესი შემუშავებულია "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის №42 დადგენილებით დამტკიცებულ "სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ" დებულების შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების კონკურსით პრივატიზების წესებს (შემდგომში "კონკურსი") ასევე გამყიდველების, მყიდველებისა და კონკურსის სხვა მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

1.2. "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის შესაბამისად კონკურსით გაყიდვის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (შემდგომში "სამინისტრო") ან მისი ტერიტორიული ორგანო.

1.3. კონკურსით სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციაში იგულისხმება, კანონის თანახმად მყიდველად მიჩნეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საწარმოების (გაერთიანებების), მათი ქვედანაყოფების, საწარმოო და არასაწარმოო ფასეულობათა ერთიანი ქონებრივი კომპლექსების, ლიკვიდირებული საწარმოების აქტივების, აგრეთვე სააქციო საზოგადოებაში (სხვა საზოგადოებაში) – სახელმწიფოს კუთვნილი აქციათა პაკეტების (წილი, პაი) შეძენა. როდესაც მყიდველებს მოეთხოვებათ გამყიდველის მიერ დადგენილი პირობების შესრულება.

1.4. კონკურსის პირობათა რიცხვს შეიძლება განეკუთვნოს:

– საპრივატიზაციო ობიექტის, მათ შორის აქციათა პაკეტის ფასი (ფასი წარმოადგენს კონკურსის აუცილებელ პირობას);

– გამყიდველის მიერ დადგენილი საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად საპრივატიზაციო საწარმოში ინვესტიციების დაბანდება;

– განსაზღვრული ვადით საქონლის, სამუშაოების, მომსახურების, წარმოების მოცულობისა და პროფილის შენარჩუნება;

– ორ წლამდე ვადით არსებული სოციალური გარანტიებისა და (ან) სამუშაო ადგილების მთლიანად ან განსაზღვრული პროცენტით შენარჩუნება;

– საპრივატიზაციო ობიექტების ქონებრივ კომპლექსში შემავალი სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მოვლის და გამოყენების წესი;

– საპრივატიზაციო ობიექტების მიმართ გარკვეული ქმედებების აკრძალვა.

1.5. კონკურსით სახელმწიფო ქონების გამყიდველი არის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. მათ შეუძლიათ შეასრულონ გამყიდველის ფუნქციები უშუალოდ ან შუამავლის საშუალებით (შემდგომში "ორგანიზატორი"), რომელსაც გამყიდველის მიერ მინიჭებული ექნება უფლებამოსილება და იმოქმედებს პრივატიზაციის შესახებ რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

1.6. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მყიდველად მიჩნეულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

2. კონკურსის სახეები

2.1. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის მიხედვით კონკურსი არის ორი სახის: კომერციული და საინვესტიციო.

2.1.1. კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

2.1.2. საინვესტიციო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და გამყიდველის მიერ დადგენილი საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში საპრივატიზაციო ობიექტში ინვესტიციების მაქსიმალური მოცულობა.

2.2. საპრივატიზაციო ობიექტის ან აქციათა პაკეტის გაყიდვისას კონკურსის სახეს ადგენს სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანი, ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

2.3. საინვესტიციო კონკურსის შემთხვევაში გამყიდველი ადგენს ინვესტიციებისოდენობასა და მისი ინვესტირების რეჟიმს.

3. კონკურსის მომზადება და ორგანიზება

3.1. კონკურსის მოწყობის ინიციატორი შეიძლება იყოს სამინისტრო, მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო კონკურსის ჩატარების ორგანიზატორის ფუნქცია შეიძლება შესრულდეს უშუალოდ მათ მიერ, ან შუამავლის მეშვეობით.

3.2. კონკურსის ჩასატარებლად გამყიდველი გადასცემს ორგანიზატორს:

– საკონკურსო ობიექტის პრივატიზების გეგმას (პრივატიზების პროგრამა), რომელიც მეიცავს კონკურსის ჩატარების პირობებს;

– კონკურსის ჩატარების შესახებ საინფორმაციო ცნობის პროექტს:

– ლიკვიდირებული ობიექტის გაყიდვის შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიის მიერ შედგენილ მასალებს.

3.3. ორგანიზატორი, კონკურსი ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, გამყიდველისაგან მიღებული მასალების საფუძველზე ადგენს საინფორმაციო ცნობას კონკურსით გასაყიდი ობიექტის შესახებ და უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის გამოქვეყნებას პრესაში.

საინფორმაციო ცნობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

– გამყიდველის დასახელება;

– კონკურსის პირობები და კონკურსის სახე (საინვესტიციო, კომერციული);

– ანგარიშსწორების ფორმა;

– საპრივატიზებო ობიექტის დასახელება და მისამართი;

– საპრივატიზებო ობიექტის ფასი;

– საპრივატიზებო ობიექტის და (ან) დოკუმენტაციის წინასწარი გაცნობის წესი;

– განაცხადების მიღების საბოლოო ვადა;

– ბესა (საპრივატიზებო ობიექტის საწყისი ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით) და მისაგებლის ოდენობა, გამყიდველის ანგარიშსწორების ანგარიში, სადაც უნდა ჩაირიცხოს თანხა;

– ორგანიზატორის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი;

– მონაწილეთა წინადადების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი, დრო და ადგილი;

– საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი;

– საწარმოს პროფილი;

– ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება;

– სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში;

აქციათა პაკეტის გაყიდვის შემთხვევაში ინფორმაცია დამატებით უნდა შეიცავდეს:

– სააქციო საზოგადოების დასახელებას და იურიდიულ მისამართს;

– გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობას;

– ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას;

– საპრივატიზებო აქციების რაოდენობას და მათ ნომინალურ ღირებულებას;

3.4. ლიკვიდირებული საწარმოს აქტივების გაყიდვის შემთხვევაში საინფორმაციო ცნობაში მოცემული უნდა იყოს მათი ძირითადი მახასიათებლები.

3.5. დამატებითი ინფორმაციის ნუსხასა და მიწოდების ფორმას განსაზღვრავს გამყიდველი.

3.6. საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ორგანიზატორი საშუალებას აძლევს წინასწარ გაეცნონ საპრივატიზებო ობიექტს. ობიექტის წინასწარი გაცნობა ხდება ორგანიზატორის მიერ დაწესებული ანაზღაურების საფუძველზე, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობისა.

ორგანიზატორი ვალდებულია შექმნას ობიექტის წინასწარ გასაცნობად საჭირო პირობები.

3.7. ორგანიზატორი იღებს და დაუყოვნებლივ ატარებს რეგისტრაციაში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს.

3.8.საპრივატიზებო ობიექტის კონკურსის წესით გაყიდვის მიზნით გამყიდველი ექვსი თვის ვადით ქმნის მუდმივმოქმედ საკონკურსო კომისიას 5-9 წევრისაგან.

კომისიაში აუცილებლად უნდა შედიოდეს გამყიდველის წარმომადგენელი, ხოლო მუნიციპალური საკუთრების ობიექტის პრივატიზების შემთხვევაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელიც.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე არის გამყიდველის წარმომადგენელი.

3.9. კონკურსის ჩატარების დღეს, ორგანიზატორი საკონკურსოდ მიღებულ მასალებს გადასცემს საკონკურსო კომისიას რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

3.10. საკონკურსო კომისია დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს თავისი მუშაობის რეგლამენტს.

კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომები უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი.

სადავო საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით საკონკურსო კომისიის წევრთა საერთო რიცხვიდან. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტად.

3.11. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრს უფლება აქვს წერილობით გამოხატოს თავისი განსხვავებული აზრი, ხოლო თავმჯდომარე ვალდებულია დაურთოს იგი ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

3.12. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ორგანიზატორი გადასცემს შემაჯამებელ ოქმებს გამყიდველს, რომელიც სამი დღის ვადაში ამტკიცებს შედეგებს.

3.13. ორგანიზატორი გამყიდველთან შეთანხმებით აქვეყნებს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

4.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მყიდველად მიჩნეული მოქალაქეები, იურიდიული პირები, უცხოელი ინვესტორები, რომლებიც დროულად წარადგენენ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელ დოკუმენტებს. ამასთან, საინვესტიციო კონკურსში მონაწილეობის პრეტენდენტთა მიმართ სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება დაწესდეს დამატებითი მოთხოვნები (მათ შორის საწარმოო საქმიანობის მოცემული მიმართულებით გამოცდილების არსებობა, გარანტიები პოტენციური ინვესტორების განკარგულებაში კაპიტალის არსებობის შესახებ).

4.2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

– წინადადებები გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის მიხედვით, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მყიდველის მიერ;

– საინფორმაციო ცნობაში მითითებულ გამყიდველს საანგარიშსწორებო ანგარიშზე ბეს შეტანის დამადასტურებელი საგადახადო ქვითარი;

– მისაგებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

– მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით;

– იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

4.3. განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს.

4.4. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.

4.5. განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს პრეტენდენტის სტატუსს.

4.6. ცნობები განაცხადის შემომტანთა შესახებ არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

4.7.კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადის მიღება იწყება კონკურსის გამოცხადების დღიდან და წყდება 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე კონკურსის ჩატარების თარიღამდე. პრეტენდენტს უფლება აქვს წერილობით გამოითხოვოს თავისი განაცხადი, განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე – ბეს დაუკავებლად, ხოლო განაცხადების მიღების დამთავრებიდან კონკურსის ჩატარების დღემდე – ბეს დაკავებით.

ორგანიზატორი ახდენს პრეტენდენტის მიერ განაცხადის გამოთხოვნის რეგისტრაციას.

4.8. განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ:

– განაცხადის წარმომდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ შეიძლება ცნობილი იქნეს საპრივატიზებო ობიექტის მყიდველად;

– განაცხადის შემომტანმა პირმა დადგე-

ნილ ვადაში არ წარმოადგინა ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. კონკურსის ჩატარების წესი

5.1. საკონკურსო კომისია პრეტენდენტთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმიდან გამომდინარე.

5.2. კონკურსის პირობები სავალდებულოა ყველა პრეტენდენტისათვის. წინადადება კონკურსის პირობების უკეთესი ხარისხით შესრულების შესახებ კონკურსის მონაწილეს არ აძლევს უპირატესობას სხვა მონაწილეთა მიმართ.

5.3. კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება პრეტენდენტი, რომლის წინადადებები აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს და შეიცავს მაქსიმალურ ფასს, ხოლო საინვესტიციო კუნკურსი გამარჯვებულად – პრეტენდენტი, რომლის წინადადებები აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს და რომელმაც გამყიდველს შესთავაზა განსაზღვრული დროისათვის ინვესტიციების მაქსიმალური მოცულობა.

5.4. დადგენილ დღესა და საათს საკონკურსო კომისიის სხდომაზე იხსნება კონვერტები შემოსული წინადადებებით. კომისიის მიერ მოწმდება ყველა ფორმალობის დაცვა, დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა, რის შესახებაც დგება ოქმი, სადაც ხდება ყველა შემოსული წინადადებებისა და მათი კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დაფიქსირება.

თუ პრეტენდენტის წინადადებები არ პასუხობენ კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში.

5.5 კონკურსის შედეგების შეჯამებისას პრეტენდენტთა განცხადების დაფარვა ან გაუთვალისწინებლობას იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხოლო კონკურსის შედეგები ითვლება ბათილად.

5.6. საკონკურსო კომისიის ნებართვით კონვერტების გახსნას შეიძლება დაესწრონ პრეტენდენტები ან მათი წარმომადგენლები, რომელთაც ექნებათ სათანადო მინდობილობა კომისიის სხდომაზე დასასწრებად.

5.7. საკონკურსო კომისია იხილავს პრეტენდენტთა წინადადებებს და თითოეულისათვის ადგენს შესაბამის ოქმს, რის შემდეგაც კომისიის წევრები ცალ-ცალკე ადგენენ წერილობით დასკვნას საკუთარი არჩევანის დასაბუთებით.

გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის შესახებ აცხადებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე კონვერტის გახსნის დღეს, საკონკურსო კომისიის წევრთა დასკვნების საფუძველზე.

5.8. კონკურსი ითვლება არ შემდგარად, თუ:

– განაცხადების წარდგენის დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი;

– წარდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს და ამიტომ საკონკურსო კომისიამ ისინი უარყო;

ამ შემთხვევაში საკონკურსო კომისია ადგენს ოქმს კონკურსის არ ჩატარების შესახებ. ოქმი მტკიცდება გამიდველის მიერ, რომელიც ვალდებულია ერთი თვის ვადაში შეიტანოს საჭირო ცვლილებები ობიექტის პრივატიზაციის გეგმაში.

5.9. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და მათ მიერ შემოთავაზებულია კომერციული კონკურსის შემთხვევაში ერთნაირი ოდენობის მაქსიმალური თანხა, ხოლო საინვესტიციო კონკურსის შემთხვევაში ერთნაირი რაოდენობის ინვესტიციები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად იმართება ფარული კენჭისყრა.

5.10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ დგება შემაჯამებელი ოქმი, რომელიც შეიცავს საკონკურსო კომისიის დასკვნას შემდეგი ფორმით:

– საპრივატიზებო ობიექტის დასახელება;

– საკონკურსო კომისიის შემადგენლობა;

– მონაცემები კონკურსის მონაწილეთა შესახებ;

– კონკურსში მონაწილეთა წინადადებები დანართების სახით;

– საკონკურსო კომისიის წევრთა წერილობითი დასკვნები მათი არჩევანის დასაბუთებით (დანართების სახით);

– კონკურსში გამარჯვებულის დასახელება;

– ობიექტის შესყიდვის ფასი და ანგარიშსწორების ფორმა;

– ინვესტიციების მოცულობა და ვადები (საინვესტიციო კონკურსის შემთხვევაში).

ოქმს თან უნდა ერთვოდეს გამარჯვებულისათვის განკუთვნილი საკონკურსო კომისიის მიერ მომზადებული წერილის პროექტი, რომელიც შეიცავს შეტყობინებას მისი წინადადებების მიღების შესახებ და მოწვევას გამყიდველთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

– აღნიშნული ოქმი და საბუთები დასამტკიცებლად წარედგინება გამყიდველს.

– გამყიდველის მიერ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ ოქმის პირი ეგზავნება ყველა პრეტენდენტს.

5.11. კონკურსის პროცედურის დარღვევის შემთხვევაში სამინისტროს უფლება აქვს შეცვალოს კომისიის გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის შესახებ ან გააუქმოს კონკურსის შედეგები (ხელახალი კონკურსის დანიშვნით), კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ორი თვის განმავლობაში.

5.12. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სამინისტროში (ოქმის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში) და სასამართლოში.

5.13. ორგანიზატორი ვალდებულია 30 კალენდარული დღის განმავლობაში პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ.

6. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და მესაკუთრის უფლებები

6.1. კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდეგ, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია ათიდღის ვადაში აიღოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგი გაუქმდება და მას ბე არ დაუბრუნდება.

6.2. ოქმის მიღების დღიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებულმა უნდა გადაიხადოს ობიექტის საბოლოო ფასის სულ ცოტა 50%, ხოლო დარჩენილი 50% – შემდგომი 30 კალენდარული დღის განმავლობაში გარდა "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6.3. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ფორმდება ობიექტის საბოლოო ფასის მთლიანად ან "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში 50% გადახდის შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დადგენილ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და კონკურსის შედეგები უქმდება და ინიშნება ხელახალი კონკურსი. შეტანილი ბე მყიდველს არ უბრუნდება. იგი ჯარიმდება გასაყიდი ობიექტის საბოლოო ფასის 10%-ით და ეკრძალება ამავე ობიექტის (აქციათა პაკეტის) პრივატიზაციაში შემდგომში მონაწილეობის მიღება.

6.4. გამყიდველსა და კონკურსში გამარჯვებულს შორის დადებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

– ობიექტის დასახელება და მისამართი;

– ცნობები გამყიდველის, მყიდველისა და შუამავლის შესახებ;

– ობიექტის (აქციათა პაკეტის) შეძენის ფასი;

– ობიექტის აქტივების შემადგენლობა და ღირებულება;

– პირობები, რომელთა საფუძველზეც ობიექტი (აქციათა პაკეტი) გაყიდულ იქნა კონკურსით და მხარეთა პასუხისმგებლობა მათი დარღვევის შემთხვევაში;

– მიწის ნაკვეთის ფართობი და მისი გამოყენების წესი;

– ობიექტის (აქციათა პაკეტის) გადაცემის წესი და ვადები, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები;

– უფლება-მემკვიდრეობის საზღვრები;

– მხარეთა ურთიერთვალდებულებები ობიექტის (აქციათა პაკეტის) შემდგომი გამოყენების შესახებ;

– სხვა პირობები მხარეთა შეთანხმების მიხედვით.

6.5. აქციათა პაკეტის გაყიდვის შემთხვევაში გამარჯვებული მონაწილის მიერ ნაყიდი აქციების საფასურის სრულად გადახდის შემდეგ, გამყიდველი შესაბამის საარქიო საზოგადოებებს აძლევს დავალებას აქციათმფლობელთა რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

6.6. ობიექტის შეძენისას შეტანილი ბე მყიდველს ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. ყველა დანარჩენ პრეტენდენტს კი კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში ბე უბრუნდება იმავე წესით, რა წესითაცაა შემოტანილი.

6.7. ობიექტზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველს გადაეცემა სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების მომენტიდან, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟი იფარება ქონების პრივატიზების შედეგად ამონაგები საერთო თანხიდან.

7. კონკურსზე პრივატიზებიდან ამონაგების განაწილება

7.1. კონკურსზე სახელმწიფო ქონების მყიდველებისაგან შემოსული თანხის, დაინტერესებული პირების მიერ საპრივატიზებო ობიექტის გაცნობიდან მიღებული ანაზღაურებისა და დადგენილი წესით დაუბრუნებელი ბეების შემოსული სახსრებიდან იქმნება კონკურსის ამონაგები.

7.2. ამონაგები, მიღებული სახელმწიფო საკუთრების ობიექტებისა და ქონების ცალკეული სახეობების გაყიდვის შედეგად, ჩაირიცხება გამყიდველის სპეციალურ ანგარიშზე და განაწილდება დადგენილი წესით.

7.3. კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების ხარჯები ანაზღაურდება გამყიდველის, როგორც კონკურსის უშუალო ორგანიზატორის მიერ მიღებული ამონაგებიდან, იმ შემთხვევაში, როცა კონკურსის ორგანიზატორია შუამავალი. გამყიდველი ღებულობს წმინდა შემოსავალს, რაც განისაზღვრება როგორც სხვაობა ამონაგებსა და შუამავლის ანაზღაურებას შორის, შუამავალს ანაზღაურება ეძლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მყიდველის (მესაკუთრის) პასუხისმგებლობა

8.1. მყიდველი (მესაკუთრე) ვალდებულია კონკურსით შეძენილი ქონების პრივატიზების შემდეგ გამოყენებისას მკაცრად დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს სამინისტროს ან ტერიტორიულ ორგანოს.

8.2. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი (მესაკუთრე) ღებულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და გადაიხდება ქონების ღირებულების 10% სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

8.3. საკონკურსო პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო აღძრავს სარჩელს უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

8.4. სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში მყიდველს (მესაკუთრეს) არ აუნაზღაურდება:

ა) ქონების ღირებულება;

ბ) ობიექტის გაუმჯობესებაზე გაწეულ დანახარჯი ღირებულება, ამასთან ერთად გადახდება სააბორტიზაციო ანარიცხები დადგენილი წესის შესაბამისად;

8.5. მყიდველზე (მესაკუთრეზე), რომელიც კონკურსის წესით ქონების შეძენისას ღირებულების გადახდის დროს სარგებლობს კანონით დადგენილი შეღავათებით, ვრცელდება 8.3. და 8.4. პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

9. ბარიგებათა ბათილად ცნობა

9.1. კონკურსით სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზებისას დადებული გარიგებები ბათილად ითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. კონკურსის შედეგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებული დავები განიხილება სასამართლოს მიერ, სამინისტროს ან პროკურატურის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საპრივატიზაციო გარიგებების ბათილად ცნობის შესახებ წარმოშობილი სადავო საკითხები (მათ შორის მყიდველის მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის) განიხილება სასამართლოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მხოლოდ ციფრები

№41 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამომშ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
817.	"მატერიალური რესურსები"	228025	24	0	24	4199	0	4199	226746	54	1279	99.44	78.84
820.	"აგროსოფლტექსერვისი"	55504	1	0	1	853	0	853	55445	65	59	99.89	94.90
826.	"მეგობრობა"	24712	7	0	7	707	0	707	24038	34	674	97.27	49.64
833.	"მშენმექანიზაცია"	140629	3	0	3	2164	0	2164	138496	64	2133	98.48	93.44
834.	"სურსათმრეწვბაკალეია"	120643	25	0	25	6393	0	6393	115074	18	5569	95.38	26.28
835.	"მაცივარკომბინატი"	93428	20	1	21	6868	15	6883	89284	13	4144	95.56	18.98
857.	"ხამურის ნავთობპროდუქტი"	21038	43	0	43	7936	0	7936	15872	2	5166	75.44	2.92
860.	"ჭიათურსილიკატი"	61921	0	0	0	0	0	0	0	0	61921	0.00	0.00
861.	"ჭიათურის ნავთობპროდუქტები"	14348	5	0	5	2038	0	2038	14266	7	82	99.43	10.22
862.	"ეკლარის ქვა"	23655	23	0	23	2897	0	2897	23176	8	479	97.98	11.68
865.	"ჩაის ქაღალდის ფ-კა"	519606	13	0	13	8048	0	8048	515072	64	4534	99.13	93.44
	სულ:	1303509	164	1	165	42103	15	42118	1217469		86040		

კონსტანტინე ბასკაევი

პრივატიზებული საწარმოები სწავლობენ წარმატების მიღწევას

რუსეთის პრივატიზების ცენტრი ამთავრებს პრივატიზებული საწარმოების ხელშეწყობის პროგრამის რეალიზაციას 12 მილიონი დოლარის ღირებულებით, რომელიც ხორციელდება 1994 წლის ივნისიდან და დაფინანსებულია ტასისის ფარგლებში.

საზოგადოებრივ-სახელმწიფო ფონდის "პრივატიზაციის რუსეთის ცენტრის" გენერალურმა დირექტორმა მაქსიმ ბოიკომ "ფინანსოვიე იზვესტიას" აცნობა, რომ პროგრამას აფინანსებდა რუსეთის მთავრობის თხოვნით. დასმული იყო 12 მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმოს რესტრუქტურიზაციის ამოცანა. ეს არის ამ ხასიათის პირველი პროგრამა.

პროგრამის რეალიზაციის დაწყებამდე კონკურსის პირობებში ირჩეოდა დასავლეთის საკონსულტაციო ფირმები და რუსეთის საწარმოები. სულ რუსეთის მონაწილეთაგან შევიდა დაახლოებით 120 განაცხადი. შემრჩევი კომიტეტის კრიტერიუმთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მზადყოფნას წარმოების შესახებ ინფორმაციის სრული გახსნისათვის.

დასავლეთის კომპანიებიდან შეარჩიეს ორი საკონსულტაციო ფირმა – მაკკინზი და არტურ ლელითლ. რუსეთის საწარმოთა შერჩევა და პროექტის განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა დაეკისრა "რუსეთის პრივატიზების ცენტრს" (რ.პ.ც.). ამჟამად პროგრამით მუშაობა დამთავრებულია შვიდ საწარმოში, კიდევ ოთხში სახეზეა მისი რეალიზაციის სხვადასხვა სტადია. პროგრამაში ჯერჯერობით ვაკანტურია ერთი ადგილი.

მაქსიმ ბოიკოს აზრით, პროგრამა უკვე იმით არის საინტერესო, რომ აი-ს და ქარხნების დირექტორებმა გააცნობიერეს, რომ თავისთავად ინვესტიციები ვერ მოიტანენ სარგებლობას, თუ საწარმო მზად არ შეხვდა მას. წარმატების მიღწევა შეუძლია მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებსაც გამომუშავებული აქვთ რეკონსტრუქციისა და სტრატეგიული განვითარების გარკვეული გეგმა.

ასეთ საწარმოთა შორის მ.ბოიკო ასახელებს ეფრემოვის სინთეტიკური კაუჩუკის ქარხანას (ტულის ოლქი) და "ლესოგორსკის ქარხანას" (ლენინგრადის ოლქი). ორივე მათგანში მნიშვნელოვნად ამაღლდა ეკონომიკური მაჩვენებლები – გაყიდვის მოცულობა, რენტაბელობა. განსაზღვრულია საწარმოს განვითარების სტრატეგიული კურსი. ძირითადად გადაწყვეტილია ხანგრძლივვადიანი დაფინანსების საკითხები. ზოგს საერთოდ არ დასჭირდა გარე ინვესტორები, იმდენად მაღალი აღმოჩნდა მათი რენტაბელობა.

პროგრამაში მოწინავე საწარმოთა შორის არის "კარელიის ოკატინი" (ქ.კოსტომუშკა), ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანა, ტრალისა და რეფრიჟერატორების ფლოტის სამმართველო (ქ.კამჩატკის პეტროპავლოვსკი).

შერჩევის დროს ყურადღება ექცეოდა ხელმძღვანელთა მზადყოფნას – ღაეცვათ კონსულტანტთა რჩევები. ამის შედეგად საწარმოში იცვლებოდა მართვის სტრუქტურა, გაჩნდა ახალი განყოფილებები – მარკეტინგის, კონიუნქტურის შემსწავლელი, დირექტორის ახალი მოადგილეები ფინანსებში, პერსონალთან მუშაობაში და ა.შ.

"კარელიის ოკატინის" აქციონერთა შორის, კონსულტანტთა რეკომენდაციით შევიდა მეტალურგიული საწარმო "სევერსტალი", ამან სამუალება მისცა სტაბილური გაეხადა პროდუქციის გასაღება და დაეფინანსებინა იარაღების შესყიდვა.

პროგრამის შედარებით ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს კონსულტანტთა მუშაობა ალექსანდროვის რადიოქარხანაში (ვლადიმირის ოლქი). თუმცა, მაქსიმ ბოიკო ვარაუდობს, რომ მოცემულ შემთხვევაში იმოქმედა საერთო მძიმე მდგომარეობამ რადიოელექტრონულ დარგში. დღეს საბლვარგარეთული მაგნიტოფონები, რადიომიმღებები და ტელევიზორები უფრო იაფი და ხელმისაწვდომია, ვიდრე სამამულო. შეიძლება ეს ნორმალურად ჩაითვალოს, – ამბობს მაქსიმ ბოიკო, – მაგალითად აშშ-ში ტელევიზორებს საერთოდ არ ამზადებენ, თუმცა ამ ქვეყანას ჩამორჩენილს ვერ ვუწოდებთ. ალბათ, შრომის საერთაშორისო განაწილებაში რუსეთი არ იქნება სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკას და საეროოდ, "უარყოფითი გამოცდილებაც გამოცდილებაა".

მიუხედავად იმისა, რომ "რუსეთის პრივატიზების ცენტრის" ამოცანაში შედის საშუალო და მსხვილი საწარმოებისთვის ბაზარზე გასვლამი ხელშეწყობა, ამასწინათ პროგრამის განხორციელება დაიწყო სამრეწველო გიგანტში – "ურალმაშში". "ჩვენ რა თქმა უნდა, ვერ გადავატრიალებთ ამ საწარმოს, – ხაზს უსვამს მაქსიმ ბოიკო, – მაგრამ დახმარებას შეეძლებთ. პირველ რიგში ეს იქნება საწარმოს მართვის შინაგანი ორგანიზაცია და ყურადღების ფოკუსირება გარკვეულ მიმართულებებზე. რუსეთის პრივატიზების ცენტრის აზრით "ურალმაშს" პერსპექტივები ცუდი არ აქვს.

დღესდღეობით რუსეთის პრივატიზების ცენტრი ახორციელებს რამდენიმე პროგრამას რუსეთის საწარმოთა მხარდასაჭერად. ერთ-ერთი მათგანს "საწარმოთა ინტენსიურ მხარდაჭერას" აფინანსებს აშშ-ის მთავრობა. ამ პროგრამაში მონაწილეობს რუსეთის 15 საწარმო. სხვა პროგრამებს შორის მაქსიმ ბოიკომ დაასახელა საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა, "ფარმაცევტიკა" და "ტექსტილი". რუსეთის პრივატიზების ცენტრი წვდება ქვეყნის 26 რეგიონს და თავისი პროგრამებით მოიცავს დაახლოებით 300 საწარმოს.

"ფინანსოვიე იზვესტია" №51.

აუდიტორული ფირმა

შპს ლადი – აუდიტი

გთავაზობთ

- საწარმოს აუდიტორული შემოწმების ჩატარებას
- ყველა სახის ქონების შეფასებას
- ფირმების, სააქციო საზოგადოებების და ა.შ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადებას
- აქციონერთა რეესტრის წარმოებას
- საკონსულტაციო მომსახურებას

მისამართი: თბილისი 380060, ამბროლაურის ქუჩა კორპ. 3, ბინა 11.
შეგიძლიათ დარეკოთ ტ. 37-40-49

იყიდება ოროთახიანი ბინა გადაკეთებული სამოთახად. გარემონტებული, ნუცუბიძის პლატოზე. მისამართი II მკრ. III კვ. 9 კორპ. 4 სართ. ბინა 23. სვეტლანა ნებიერიძე. საღამოს 5 საათის შემდეგ. ფასი 15000 $.

ჩვენი ლექსიკონი

ბრატინი – წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან და ნიშნავს უფასოს, ეს ტერმინი გამოიყენება ვაჭრობაში სხვადასხვა ოპერაციებისა და გაწეული მომსახურების უანგაროდ შესრულების დროს.

ბრატიფიკაცია – ეს არის წახალისების ფორმა, ფულადი ჯილდო. მისი მიზანია აგენტების, ბროკერების ან ვაჭრობაში მონაწილე სხვა პირთა სტიმულირება.

გარანტია – გამყიდველის პასუხისმგებლობა საქონლის მატერიალურ ნაკლოვანებაზე და იმაზე, რომ საქონელი თავისუფალია ვალდებულებებისაგან. ამასთან არ წარმოადგენს სხვა პირთა საკუთრებას.

დაგეგმვა – ეს არის გასაღების გადიდებისა და ფირმის მოგების ზრდისაკენ მიმართული ფორმალური პროცედურა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: 1.სტრატეგიული დაგეგმვა ან 2.მარკეტინგის დაგეგმვა.

დაგეგმვის ინფორმაციული ბაზა – განსაზღვრული ნიშნით სისტემატიზებული მონაცემების ერთობლიობა – გამოიყენება საგეგმოეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

დანარიცხი – 1.დამატება საქონლის საპრეისკურანტო საბითუმო ფასებზე, რომელსაც უხდის მომხმარებელი მომარაგება-გასაღების ორგანიზაციას. 2.შემოსავალი, რომელსაც ღებულობს მომარაგება-გასაღების ორგანიზაცია, საწარმოთა მომარაგების ან მათი პროდუქციის გასაღებისათვის.

დებენტურა – საბაჟო სამსახურის მოწმობა ბაჟის დაბრუნების თაობაზე.

"დათვები" (ბირჟული ჟარგონი) – საბირჟო სპეკულანტები, რომლებიც თამაშობენ ფასიანი ქაღალდების, ვალუტების, საქონლის კურსის შემცირებაზე.

დეგავუირება – ნდობით აღჭურვილი პირის მიმართ უნდობლობის გამოცხადება და მისი ნაღდი უფლებების აღკვეთა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაგულად: 3. მეგრე; 7. ბრომი; 12. სარანი; 13. ლორიე; 14. ფრესკა; 15. ლამბაქი; 16. ანაკლია; 17. პატენტი; 20. აილამა; 21. აორტა; 22. ილუზია; 24. ინა; 25. ჭიაბერი; 26. სარგოსა; 27. ბლუ; 31. ოლიმპი; 34. ნანტი; 36. ბაგები; 38. ზვარაკი; 39. ფაქტორი; 40. დიზაინი; 43. ტია-ტია; 44. იალტა; 45. იდილია; 47. რკო; 48. მექსიკა; 49. პრომეთე; 50. მზე; 54. ილიადა; 57. ვიოლა; 59. სამარა; 61. გალერეა; 62. არტერია; 63. სევილია; 66. შვეიკი; 67. გრინი; 68. ლენინი; 69. აბელი; 70. ალაპი;

შვეულად: 1. ტარანი; 2. ბარბლაშ; 3. მირქმა; 4. გეა; 5. ელენთა; 6. ბროკერი; 7. ბერიკა; 8. ომი; 9. იფრარი; 10. დელერუა; 11. სკეტჩი; 18. ანაბარი; 19. სარგანა; 20. აბიბო; 23. ამური; 28. ამარეტო; 29. ანატოლი; 30. აგრაფია; 32. ლუკრი; 33. ისკრა; 34. ნიაბი; 35. იურტა; 36. ბზიფი; 37. "ბონდი"; 41. კორსიკა; 42. ტელმანი; 43. ტარბი; 46. არენა; 51. გაბელია; 52. ხოფერია; 53. ამბიონი; 55. ლიახვი; 56. ანემია; 57. ვერაგი; 58. ამიმია; 59. სიეტლი; 60. რაიონი; 64. ბზე; 65. ფხა;

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დახაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ეთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ეტცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.96 წ.

პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, №64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა "სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია